ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

2018 წლის 16 იანვარი ქ. ლაგოდეხი

ბრძანება

№4

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავის გამოყოფისა და განაწილების შესახებ

სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის № 57 დადგენილების ,,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში დადგინდეს საწვავის ყოველთვიური ხარჯი 500 (ხუთასი) ლიტრის ოდენობით.
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის მატერიალურ–ტექნიკური მომსახურების საკითხების სპეციალისტს რატი ლომიძეს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: გურჯაანი. სანაპიროს ქ. №24.

საკრებულოს თავმჯდომარე კარლო ჯამბურია